

# საქართველო

წელი პირველი

1er année.

საქართველო  
საზოგადოებრივი

№ 4

NOTRE PAYS

Revue mensuelle

Redac.: 14, cité Falguiere - Paris 15

მაისი — 1948 — MAI

ქართულ ემიგრანტ მწერალთა და ჟურნალისტთა ოჯახი.

## 30 წლის თავზე

ფაქტია: ეს არ არის იუბილე ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის, თავისუფალი ცხოვრების. ეს არის საიუბილეო მოგონება ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების. მოგონება იმ ტკბილი მომენტის, როცა ტრალიკულ პირობებში ჩავაჩრდილმა ერმა მთელი თავის ენერჯის დაძაბულობა მოიმარჯვა მხვი ღრუბლებით დაფარული დღის, ბრწყინვალე მზიურ დღესასწაულთა გადასაქმნელად. ესაა მოგონება გამირული წუთების, როცა შეგობრებისაგან მიტოვებული, და მტრებისაგან გარსემომორტყმული ქართველი ერი სულით კი არ იდაცა, მუსხლებზე კი არ დაიხოჭა, პირიქით, ვმირულ წინაპართა გამძლეობის სული ჩაიდგა, და რევოლიუციური გაბედულობით თბილისის ბჭეზე სამეფროვანი დროშა ააფრიალა: დროშა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ამით სამხრეთიდან მომდგარი საფრთხეც იქნა აცილებული და ჩრდილოეთის მონობის უღელიც, ასე წელი რომ სხაგრავეს ქართველ ერს, გადავდებელი.

საქართველოს ცაზე თავისუფალმა მზემ ამოანათა და ქვეყანას მხურვალე სხივებით საღამო მიუძღვნა.

ეს იყო 30 წლის წინათ. და ამას ვიგონებთ დღეს.

სულ სამი წელი ისუნთქა ქართველმა ერმა თავისუფალი ჰაერი დამოუკიდებლობის. მხოლოდ სამი წელი ასურვებდა ქართული მზე თავისუფლებით ახადვრდებულ საქართველოს მიდამოს და ათობდა ქართველი ერის გალაღობულ გულსა და ძარღვებს. და შიგ რამდენი სიმხურვალე დასთესა!

სამ წელში გადახალისდა და განახლდა მთელი სხეული, მთელი სოციალური სტრუქტურა ერის.

გადაილახა წოდებრივი კედლები და განკერძოებანი. ერმა მოაწყო საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ყველა თავის ატრიბუტებით და რაც მთავარია, იგი გახდა მთლიანი ისე, როგორც არასოდეს ყოფილა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, შეძლებული და ღარიბი, ივაჭარი და მუშა, სოფელი და ქალაქი, ინტელიგენცია და უბრალო ხალხი; ყველა ერთსულოვნათ შეეება საერთო უღელში, ყველამ თანასწორათ გაიზიარა უფლება და მოვალეობა ერის და სახელმწიფოს წინაშე: თავისუფალი ერი—თავისუფალი მოქალაქე, არავინ უფლება აყრილი ან უფლება—შეკვეცილი, არავინ ეროვნულ ერთობილობის ფარგლზე! ასეთი იყო პატარა რესპუბლიკა დემოკრატიული ქართველი ერის.

მაგრამ ის იყო პატარა და იყო მომზიბლველი.

და აი სამი წლის თავზე მოასქდა ცივი ქარიშხალი ჩრდილოეთის თვალუწვედნელ მრუხე მინდვრებიდან; მოასქდა ამ მინდვრებიდან აგორებულთ ტალღები ანარქიის, რომლის ნაქაფს კომუნისტური რეაქცია მოაგორებდა. ძალმომრეობით, მუხანათური თავდასხმით ვეებერთელა საბჭოთა რუსეთმა ისევე ჩაასო თავის კლანჭები პატარა თავისუფალი ერის უმანკო სხეულს!

და ამ 30 წლის თავზე ჩვენ მხოლოდ სამი წელი ივაქეს სამით მოსაგონარი. დანარჩენი 27 წელი გლოვის ზარათ აწევს თავს ამ სამი წლის თავისუფალ შემოქმედების თავისუფლებას. მაგრამ იმ სამი წელს ისეთი მცხუნვარე იყო მზე, ისეთი ძლიერი იყო განცდა თავისუფლების, ისე მძლავრათ შესძრა მან ერში ისტორიულათ დანერგილი სულიერი ენერჯია, რომ მას საბჭოთა საყინულე ვერასოდეს გააღზობს, ვერც მოადუნებს, ვერც დაიმორჩილებს.



საქართველო სულ შეხუთულია დღეს, მაგრამ მთელი თვისი სასიცოცხლო ძალებით ეწინააღმდეგება დამთურველ ძალმომრეობას. ის არ იბრძის ქედს არც ბატონთა რისხვა-წამების, არც მათი ფლიდური მოფერების წინაშე: და რადგან მან იცის რომ „სჯობს მონობაში გადიდებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“, ის ცოცხალის თავით არ სთმობს თავისუფლების ძიების გზით სიარულს!

ამ ოცდაათი წლის თავზე, 27 წელი გვაქვს გაუწყვეტელი ბრძოლის და მსხვერპლის!

ბევრი დეცა უთანასწორო ბრძოლაში; ცივ ჯურღმულებში, ციმბირის ყინულებში, აქაც; ბევრს სამშობლო მიწაც არ ღირსება! მრავალი გასწირეს თავი დაუზოგავათ — დიდება მათ სახელს! ქართველი ერი გულში ჩაიკრავს მათ ზატებას და მომავალ თაობებს გადასცემს ლეგენდებამ მათი ხსოვნას!

მძიმე პატარა ერის ბრძოლა დიდ ვეშაპთან. ზოგი — ვინმე შეიძლება დაიღალა კიდევ! ზოგი ჩამოდგენ უკან; იქნება ზოგმა მუხლიც მოიღრიკა, და ბრძოლის მაგიერ — ხვეწნით და მომადლიერებით ფიქრობს მტრის გულის მორბილებას, ან დროს მოგებას და სულის მობრუნებას! რა უყოთ! კაცნი ვართ და კაცობრიული არაფერი არის უცხო ჩვენთვისაც!

მაგრამ ერთი ზომ უღაოა, მტკიცე და ურყევი: ყველას უღვივის გულში ეროვნული და სოციალური იდეალი ქართველი ერის!

ჩვენ ვნახეთ საბჭოთა საბყრობილემი აღზრდილი ახალი თაობის მრავალი წარმომადგენელი, სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა წრის და განათლების: განსხვავებულია მათი აღზრდა და მათი ფსიხიკა: სრულიად გარეგნული ხასიათის. აბა გადაფხვეთ ეს თხელი ვარსი, ნაკოვი საბჭოთა ტოტალიტალური რეჟიმის პოლიტიკის და თქვენ წინ გაიხსნება ქართული გული —

მოსიყვარულე ერის და თავისუფლების! ხშირად გადაფხვეც არ ესაჭიროება: გული თვით იხსნება და ფხრეწს ამ სიფრიფანა ვარსს ერთი შერბევით!

და ჩვენ ვამბობთ თამამათ, გაბედულათ: ის სამი წელი, რომლის დასაწყისს ჩვენ დღეს ვიგონებთ, იყო არა შემთხვევითი, არამედ არსებითი გამონატულეა ქართული ეროვნული სულიკვეთების, ქართული ისტორიული საზოგადოებრიობის, რომელსაც რევოლუციამ და გაჭირების დღეებმა, ვაზ გაუხსნა გამოსავლინებლათ.

და ვიმეორებთ, რომ უღაოა, მტკიცე და ურყევი: ყველა ქართველი ელის თავისუფლების მზის კვლავ გამობრწყინებას: ელის ძალ-მინდილიც და ძალ-გულოვანიც, ელის საბჭოთა ტყვეობაში პირაკრულიც და ემიგრანტულ ცხოვრებით თავმოებხრებულიც!

ველით და მოვიპოვებთ! ველით და ვედიხრებით!

დღეს ქართველ ხალხს აყრილი აქვს უფლება მოქალაქის; იგი წავგართვეს. მაგრამ დაგვრჩა მივაღწეობა მოქალაქის. და უნდა ვზიდოთ ტვირთი ამ მოვალეობის. უნდა ვიფხიზლოთ, ვიმუშავოთ, ვიზრუნოთ, იმისთვის რომ მოახლოვდეს უამი განთავისუფლების!

გვწამდეს: ქართული სული ცოცხლობს. გვწამდეს, როცა დადგება გადამჭრელი დრო, როცა დაკრავს უამი, ყველა ქართველი დადგება თავის სადარაჯოზე. სუსტი ღონეს მოიკრეფს, გულოვანი — გასაკლდედება. მუხლ მოკეცილი შე აღიშართება, სულ მოკლე — გამხნედედება. ხოლო სულ გრძელთა და გამძლეთა გაბედულეება — სასწაულებს მოიმიქმედებს. ცოცხლობს სული საქართველოსი, ღვივის ცეცხლი 26 მაისის. და შეგვიძლია ამყათ შემოვისძახოთ:

**გაუმარჯოს 26 მაისს!**  
**გაუმარჯოს დამოუკიდებლობას!**  
**ვაზა ქართველ ერს!**

**უკან მიხედვით**


როცა სამი ათეული წლის თავზე უკან მიიხედვავ, მოვლენები უფრო დალაგებულია და დაწყობილი გვეჩვენება, ვინემ პირველ დღეებსა და პირველ წლებში გვეჩვენებოდა. ობიექტური შეფასება და მიხედობრივ კავშირის გაკვეთაც უფრო ადვილი ხდება.

და დღეს მინდა სწორედ ამ სიშორიდან გავსჭრიტო ის, რაც 30 წლის წინეთ ბრძოლის, ჭიდილის, გათვალისწინების, გაბედულობის თუ

მოულოდნელობით მოხეთქილ მოვლენათა შედეგათ გვექონდა წარმოდგენილი.

ამ სტრიქონების აგტორიც მაშინ იმით რიგებს ეკუთვნოდა, რომელნიც გრძნობდენ, რომ მათის ხელით და ხელმძღვანელობით იწერება ახალი ფურცელი ისტორიის, რომ მათ უხდებათ მძიმე და მეტათ საპასუხისმგებლო ნაბიჯების გადადგმა, რომ ამ ნაბიჯებმა, შეიძლება გადამწყვეტი, სახედისწერო როლი ითამაშოს მთე





ლი ქრის მომავლისათვის. ჩვენ მაშინ ვდრტვი-  
ნავდით, ვდაობდით, ვიბრძოდით, ვეძებდით  
გზებს, და მთელი ენერჯია შთანთქმული იყო  
ამ შემოქმედების პროცესით. ისტორია კეთილ-  
ბოდა ჩვენი თაობის ხელით; ცოდნა, გამოცდი-  
ლება და თავგანწირულება, ყველაფერი სასწო-  
რზე იდგა და მისი იქით ან აქეთ გადაწონვა შე-  
ეძლო. და როცა ვიგონებ ახლა მაშინდელ გა-  
ნცდებს, იმ სულისკვეთებას, რომლითაც ვიყა-  
ვით გამსჭვალული, იმ გაფაციცებულ, დაუღა-  
ლავ დღე-ღამიან შრომას, იმ დაძაბულობას მთე-  
ლი სხეულის და გონების ყველა ძალებისას, ვი-  
ფიქნებ არა პირადათ ჩემსას, არამედ მთელი იმ  
თაობისას, რომელსაც ეს ხვედრი არგუნა ისტო-  
რიამ, უნდა სრული გულწრფელობით ვაღვი-  
არო: საიდანაც, ვილაცასაგან როგორც ახალი  
სული ჩაებერა ამ ჩვეულებრივ ადამიანებს და  
უჩვეულო ენერჯიით და ძლიერებით შემოსა.

და ამ საიდუმლოების გამოცნობას ვეძებ  
დღეს, 30 წლის თავზე, ამ საიდუმლოების გამო-  
საცნობი ზოგიერთი ელემენტები მაინც მინდა  
აღმოვაჩინო, რამდენათაც შევკლებ დღესაც  
ამაღელვებელ სულიერა განცდებს დავასწიო თა-  
ვი და ობიექტიური, ისტორიკოსის მაგარი თვა-  
ლით მიუდგე საგანს. ყოველ მოვლენას ისტო-  
რიული მნიშვნელობისა, საქართველო სხვა თვა-  
ლით უდგებოდა, ვინემ რუსეთი. და როცა დადგა  
მწვავე კრიზისი რევოლუციური ქართველით  
და ომით გამოწვეული, საქართველოს და რუსე-  
თის განსხვავება მეტი თვალსაჩინო შეიქნა.

რუსეთის რევოლუცია და თავისუფლება გა-  
ხდა მიხეზათ ანარქიის და თვითნებობის სრული  
გაბატონების. ჩვენში კი მან პირველ დღიდა-  
ნვე დადებით შემოქმედებითს მუშაობაში პოვა  
გამოსავალი და ეს შემოქმედება დემოკრატიულ  
თავისუფლების ფარგლებში მიმდინარეობდა.  
ამიტომ ჩვენში არც იმ სამოქალაქო ომს ქონია  
ადგილი, რომელმაც სისხლით მორწყა რუსეთის  
ველები, არც იმ თვითნებობის ელემენტებს და-  
ჩვენიათ სათარეშოთ საზოგადოებრივი მოედანი,  
რომელთაც რუსეთის სივრცეები მოიცვას. რუსე-  
თმა რევოლუცია დაიწყო და დაახასიათა ნგრე-  
ვით, ლეწვით, ხოცვა-ჟლეტით. ჩვენში ის თავი  
დანვე გახდა საზოგადოების შემოქმედებითი გა-  
დაქმნის და გადახალისების გზა და ხადათ, მას  
თავიდანვე ახლდა შეგნება საზოგადოებრივი ინ-  
ტერესების და გრძობა პასუხისმგებლობის.

ეს განსხვავება ვიგრძენი, როცა ვნახე პეტრო-  
ვრადში თავი რდის სასახლის ბაღი, დაღწეული

და მინგრეულ მონგრეული შემოსეული ჯარის-  
კაცებისა და რევოლუციური ხალხისაგან. და  
შემდეგ თბილისის სასახლის ბაღი, სრულიად  
ხელუხლებელი, სადაც ძველი არისოკრატიის  
ნაცვლად ახლა ხელ დაკორძილი, მაგრამ სუ-  
ფთავდ ჩაცმული მუშა ქალები და კაცები დასე-  
ირნობდენ, და თვით რუსის ჯარისკაცებიც მათი  
მიბაძვით მშვიდათ მესცქეროდენ იმ კურდღლის  
და ძაღლის საფლავზე დადებულ მარმარილოს  
ფიცარს, რომელიც ძველი რეჟიმის პატრონებმა  
დაგვიტოვეს სანიმუშოთ თავის მოღვაწეობისა.  
ამ საფლავის ქვებსაც კი არ მოხვდა გაბრაზებულ  
გულით მოქმეული ხელკეტი, რომელიც რუ-  
სეთში ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს ანა-  
დგურებდა. და მაშინ მკაფიოთ შეიჭრა ჩემს გო-  
ნებაში როგორც დიდი განსხვავება რუსის ხალ-  
ხის ბუნებასა და ჩვენი ქრის ბუნებას შორის.

რევოლუციური პროცესიც ჩვენში სულ სხვა  
მიმართულებით წავიდა.

პირველათ ყოველისა აქ აღსანიშნავია, რომ  
თუ მესამოცე წლებში ქართველ თავდა-ახნაუ-  
რობას რუსეთის შემდეგ გაუჭირდა ბატონ-ყმურ  
ურთიერთობის ლიკვიდაცია შედარებით გაუა-  
რესებლათ ჩაეტარება ჩვენში, ამ 1917 წლის რე-  
ვოლუციურ მოთხოვნილებებს იგი ბევრათ უფ-  
რო შეგნებულათ და წინდახედულათ შეგნდა.  
თუ ხალხმა გონიერება გამოიჩინა, მუშებისა და  
გლეხებისაგან ექსცესებს თითქმის არ ქონია ად-  
გილი და თუ სადმე მოხდა არეულობა და მკვლე-  
ლობანი, ისიც მივარდნილ და უმეტესათ არა ქა-  
რთული ელემენტებით დასახლებულ კუთხეებში,  
ამ შემთხვევაში მეტი ეროვნული და საზოგადო-  
ებრივი შეგნება მაღალმა წოდებასაც დაგვანახვა.  
აგრარული რეფორმა ჩვენმა მემამულეებმა,  
ექვი არ უნდა, ბევრმა დიდის გულისტკივილით,  
მაგრამ მაინც რაინდულათ მიიღო, როგორც აუ-  
ცილებელი და მას წინააღმდეგობით არ შეგე-  
ბებია. საზოგადო, სათავადაზნაურო ქონება და  
ბანკი ხომ წინდაწინვე გადაცემული იქნა მთლი-  
ანათ ქართველი ერისათვის, რაც დიდ ისტორი-  
ული ღირებულების აქტათ უნდა ჩათვალოს მის  
ინიციატორებს.

საერთოდ საქართველომ გვიჩვენა, თუ, რო-  
გორ შეიძლება ღრმს, ძირითადი საზოგადოებრი-  
ვი გადატრიალების დემოკრატიულ და თავისუფ-  
ფლების პირობებში ჩატარება.

ქართველი ხალხი რომ საზოგადოებრივი შე-  
გნებით და არა შურისძიების გრძობით და გაბო-  
როტებით შეგნდა რევოლუციას, ამის ერთ მი-



ზეზათ, ეჭვი არ უნდა, ის დიდი წინასწარი მუშაობა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც რევოლუციური მოძრაობის პიონერები აწარმოებდნენ საქართველოში და რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ს.-დემოკრატიის მიმდევრებს ეჭირათ.

მაგრამ ახლა რომ უკან ვიხედები, მე ვამბობ, რომ მართა ამ ქადაგებით და მუშაობით არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი მიზეზობრივი ახსნა ყველა იმ მოვლენების, რომელთაც რევოლუციის პერიოდში იჩინეს თავი. სწორედ ეს უმთავრესი ძალა, ხალხში მომუშავე სოციალ-დემოკრატები—ყველაზე ნაკლებათ აპყრობდნენ ყურადღებას ეროვნული საკითხის გაშუქებას და ეროვნული მოძრაობის ხალხში გაღვივებას. ვინც ეროვნულ საკითხს აყენებდნენ თავის მოქმედების ცენტრში—ნაციონალური პარტიები—მეტათ მცირე გავლენით სარგებლობდნენ ხალხში.

და აი ასეთ პირობებში, როცა ერს დასჭირდა დამოუკიდებლობის გამოცხადება, როცა ერს დასჭირდა არა მხოლოდ თვით გამოარკვევა, არამედ თავის შველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნით იგი ერთსულოვნათ და ურყევი ნებისყოფით შეხვდა ამ გაბედულ და დიდ ეროვნულ ისტორიულ აქტის განხორციელებას. ცხადია ერთი: წინასწარი პროპაგანდის დადებითი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში დიდი ვერ იქნებოდა.

მაშ რათ შეხვდა ასე ერთსულოვნათ ამ ეროვნულ აქტს რევოლუციით გატაცებული ხალხის შვილები, მუშები და გლეხები, რომელთაც ისტორიულათ ბეგრატონთა პირველ გამოცდების დღიდან, არავითარი როლი არ ქონიათ ერის ხელმძღვანელობაში და მისი ხედვის გადაწყვეტაში!

საიდან ამოიტანა მან ძალა და გაბედულება, რომ თავის თავს დასყრდნობოდა, ახალ, უჩვეულო სახელმწიფოებრივ გზაზე შემდგარიყო?

ეჭვი არ უნდა, მიზეზი უფრო ღრმაა, უფრო შორეული, ვინემ გავლენა პარტიების ან მათი პროპაგანდის. ის ზომ ფაქტია, რომ გადაჭრით დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას რევოლუციის პირველ ხანებში მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, ე. წ. ეროვნულ-რადიკალური პარტია, აყენებდა, რომლის მუშაობა და მოღვაწეობა კახეთის ორ სოფელს არ გასცილებია. ის ზომ ფაქტია, რომ ნაციონალური პარტიებიც ავტონომიის და ფედერაციის მოთხოვნით საეცებით კმაყოფილდებოდნენ!

აი ამიტომ, დღეს, 30 წლის შემდეგ, მე ასე შეხედნება, რომ, როცა, გრიგალმა ქარმა შეარყია მთელი არსება ქართველი ხალხის და საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი შორეული საგანძურების უხილავ ძირებიდან, რომელსაც, ცგრძობთ, თუმცა ჩვენს ისტორიას ჯერ საკმაოთ ვერ გაურკვევია, იმ ძირებიდან ამოხეთქა ისტორიულათ დაგროვილმა ძალამ, ისტორიულმა კულტურამ, ისტორიულმა შენაძენმა, რომელიც გამჯდარი იყო ერში და ჩვენს თვალს წინ სასწაულებრივი გარდაქმნის უცარი სურათი გადავიშალა.

გამოცხადდა დამოუკიდებლობა. და ყველაფერი იცვალა ფერი. ეროვნული გენია შევიდა ძალაში, მას ჩამოშორდა გავლენა და ზედ დაწოლა გარეშე ძალის ბატონობის. და ყველაფერმა მიიღო ქართული ხასიათი. სამი ძირითადი რეფორმა გატარდა ხანმოკლე დამოუკიდებლობის დროს: აგრარული, საერთო ეკონომიური და კონსტიტუციონური ანუ საერთო სახელმწიფოებრივი წყობილების. არც ერთი მათგანი პარტიათა პროგრამებში გათვალისწინებულ დებულებებს საეცებით არ გაყოლია, სულ სხვა სახე და ფორმა მიიღო.

რ. ა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საბარეო ასპარეზი

ამ 30 წლის წინ ქართველმა ერმა თავისი თავი თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოაცხადა. მაგრამ ეს არ იყო საიმარისო, ის ასეთად სხვა ერებს და სახელმწიფოებსაც უნდა ეცნათ, მასთან ოფიციალურად პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი დაეჭირათ და მით საქართველო საერთაშორისო ოჯახში შესულიყო.

ამ მიზნით საქართველოს დამფუძნებელ კრებამ 1919 წლის დასაწყისში წარგზავნა დილეგაცია კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით ვერ

სალის საზავო კონფერენციაზე. საქართველოს ისტორიაში ეს პირველჯერ იყო, რომ ქართველი დიპლომატია გამოდიოდა სამუშაოთ ფართე საქრთაშორისო ასპრეზე.

ქართველ დილეგაციას უცხოეთში მეტად მძიმე და ცუდ პირობებში მოუხთა მუშაობის დაწყება. პირველ ყოვლისა—საქართველოს იმ დროს ევროპაში არავინ იცნობდა. როცა ინგლისელებთან, მაგალითად, Georgia-ს სახელს ასსენებდით, მათ ზმირად ეგონათ, რომ ამერიკის





შეერთებული შტატების Georgia-ზე ელაპარაკებოდით. არა ერთხელ ყოფილა საჭირო დეტალური განმარტების მიცემა ევროპის ქვეყნებთან აღმოსავლეთ დეპარტამენტების ხელმძღვანელთათვის, რომ ბაქო და მისი ნავთი საქართველოს არ ეკუთვნოდა. ვისაც კი ქართველების სახელი გაეგონა, ისინი ცუდად და უნდობლად გვიყურებდა: პირველი დიდი ომის დროს თქვენ გვიჩვენებდითან ქონდათ კავშირიო. თან იმ დროს ევროპის სახელმწიფოებს ყველას თავისი საკუთარი საქმეები ქონდათ და ჩვენთვის არავის ეცალა. ერთი სიტყვით საგარეო ასპარეზზე მუშაობა თავისთავად მეტად რთული საქმე იყო და თან დიდი სიძნელენიც ედგა წინ.

მაგრამ ქართველ დელეგაციამ სისტემატიურ და ყოველდღიური დაუღალავი მუშაობით ყველა დაბრკოლებანი გადალახა და ორი წლის განმავლობაში საკმაოდ მოამზადა ნიადაგი, რომ დაბოლოს ევროპას საქართველოსთან ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი გაეხსნა და მასთან თანამშრომლობა დიწყა.

1921 წლის იანვარში მოკავშირე ქვეყნების უმაღლესმა საბჭომ საქართველო ოფიციალურად იცნო და ევროპის ქვეყნებმაც მასთან ნორმალური სახელმწიფოებრივი კავშირი დაიჭირა.

ჩვენი ოფიციალური ცნობის რამდენიმე კვირის შემდეგ კი საქართველო რუსეთის წითელ ჯარებმა დაიპყრეს და უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციამ—საქართველოს ეროვნული მთაქრობა და მასთან ერთად ქართველ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები—ქართველ ერის ტყვეობიდან გასანთავისუფლებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ საზღვარგარეთ მუშაობას შეუდგნენ. ეს მუშაობა კიდევ უფრო ძნელი გახდა, ვიდრე ქართველი დელეგაციის მუშაობა იყო წინა წლებში. ესლა საკითხი ეხებოდა არა მხოლოდ საქართველოს, როგორც თავისუფალ სახელმწიფოს უფლებების ცნობას, არამედ დაპყრობილ პატარა ქვეყნიდან დიდი რუსეთის ჯარების გაყვანასაც, ამ დიდი ქვეყნის წინააღმდეგ ხმის ამალკებას და მისი საქციელის დაგმობას. ასეთი რამ ყველასათვის ადვილად მისაღები ვერ იქნებოდა და ეს ძალზე ამძიმებდა და აფერხებდა მუშაობას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ათეული წლების განმავლობაში იზვიათად ყოფილა ერთი ლივის, მის დამხმარე ასოციაციასთა საერთაშორისო კავშირის, ადამიანის უფლებათა ლივის,

თუ ზავისა და მშვიდობიანობის საზოგადოებრივ ყრილობა, სადაც ქართველები არ მისულიყვნენ, ქართული საკითხის დასმას და მის ირგვლივ ევროპის საზოგადოებრივ აზრის ახმაურებას ჩვენ სასარგებლოდ არ შევითლიყვნენ. საქართველოზე ლაპარაკობდნენ ევროპის პარლამენტებში თუ ქალაქთა თვითმართველობებში. მუშაობა სწარმოებდა ყველგან, როგორც ოფიციალურ, ისე არა ოფიციალური წრეებში, გაიბა კავშირები მთაქრობებთან, დიპლომატიურ წრეებთან, პრესასთან და სხვა.

დიდ აქტიობას და ენერჯიას იჩენდა აგრეთვე საქ. სოც. დემ. პარტიის საზღვარგარეთელი წარმომადგენლობა. ძნელი და შეუძლებელია საგაზეთო წერილში ჩამოთვლა ყველა იმ დადგენილებათა, რომელშიც ქართველი ერისათვის და მისი თავისუფლების აღსადგენათ თანაგრძნობა გამოუთქვამთ: სოც. ინტერნაციონალს, ევროპის ყველა სოც. პარტიებს, პროფესიონალურ კავშირებს და სხვა.

ქართული პრობლემის პროპაგანდის საქმეში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე თვითეული პოლიტიკური ემიგრანტი, რამდენათაც ის თავის პირად ნაცნობებს და მეგობრებს (ამათი რიცხვი კი ცოტა არ არის) ქართულ საკითხს აცნობდა, ხშირად პრესაში საქართველოს შესახებ წერილებს სწერდა, მუდამ მისი ქვეყნის ბედზე ფიქრობდა.

ერთი რამეა აგრეთვე მეტად საყურადღებო და აღსანიშნავი: ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ყოველდღიური და სისტემატიური მუშაობაში დიდი და პატარა საქმეს შესაფერისად და მიზანმიწონილობით იქცეოდა ყურადღება. საქმე საკეთებლი ხან მეტი, ხან ნაკლები იყო. ასპარეზი ხან ფართე, ხან მეტად ვიწრო და შეკუმშული, პირობები ხან კარგი, ხან ცუდი. მაგრამ ქართველი პოლიტიკური ემიგრაცია, როგორც პოპულარული დამუმუხრებელი ქართველი ერისა, დამცველი მისი უფლების და თავისუფლებისა, მუდამ სასტიკი მამხილებელი ზოროტი ძალმომრეობისა, მუდმივად თავის დროშისთვის პოსტზე იდგა, მას დარაჯობდა, ასპარეზიდან არასოდეს არ გადიოდა და უბრალო შორიდან მყაყურებლის როლს არასოდეს არ კისრულობდა.

აი ასეთი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ერთ დროს საქართველოს საკითხი ასე პოპულარული იყო ევროპაში, მას ყველა იცნობდა და ბევრი თანამგრძნობი ყავდა.

როგორია დღეს ჩვენი მდგომარეობა საგარეო





საპარეზზე? ჩვენ აქ დღეს მარტო აღარა ვართ. გასახარებელი არაფერია, მაგრამ ჩვენი უბედურების მგზავს უბედურებაში სხვებიც ჩავსარდენ. საბჭოთა რუსებმა თავისუფლება სხვებსაც მოსტაცა და მათთან ჩვენსავით კისერზე მონობის უღელი დაადვა. ამ მონობის უღელით ის კიდევ სხვებს ემუჭრება. კიდევ ახალ მსხვერპლს ეძებს. საქართველოს დაპყრობით წინეთ ბევრნი პირდაპირ საშიშროებას ვერ გრძნობდენ, დღეს კი ასეთი დაპყრობის საშიშროება ზოგიერთებს კარზე მიადვა. ვასაგებია, რომ ეს იწვევს შესაფერისი **ითადსრივის მიღებას და რეაქციას.**

ქართველი ერის უბედურების ტაფაში დღეს ევროპის ბევრი სხვა ერიც იწვის. ყველას ემუჭრება, ან თავს აწევს საბჭოთა დიქტატურა, ყველა დაინტერესებულია ამ რეჟიმის მოსპობით.

დიდი სახელმწიფოების ჭიდილი — კონფლიქტში ჩასმე მონაწილეობის მიღება ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ უფლება არა გვაქვს ქართველი ერის სახელით ასეთი რაიმეში გავვერიოთ. პირად პასუხისმგებლობას კი ასეთ საქმიანობისათვის ვერავინ იკისრებს.

პოლიტიკური ემიგრაციას ევალებოდა საზღვარგარეთ პოლიტიკური მუშაობა იწარმოებია. საქართველოს საკითხი ყველასათვის — ოფიციალურ და არა ოფიციალურ წრეებში გაცნო, ნაცნობ-მეგობრები შეეძინა, ჩვენი ერის თავისუფლების აღსადგენათ დაპროპაგანდური და ნორმალური დახმარება მოეპოვებია.

ჩვენი მუშაობის შინაარსი დღესაც პოლიტიკური რჩება, იცვლება მხოლოდ ფორმა საკითხისადმი მიდგომისა, თუგინდ მამუტაბიც თვით საკითხისა და, რაც მთავარია, დღეს საჭიროა ქართული პრობლემა უფრო ფართეთ იქნას დაყენებული და ის სხვა ჩაგრულ ერების საკითხთან უფრო მჭიდროთ შეკავშირებული და გადამტული.

ამ მიმართულებით მუშაობა არ არის ადგილი საქმე. მას ამძინებს ის გარემოება, რომ გასული წლების განმავლობაში ბევრი ჩვენი დამცველი და ერთგული მეგობრები გარდაიცვალენ და დავკარგეთ. ბევრ ქვეყნებში პასუხისმგებელ და ოფიციალურ პოსტებზე, დემოკრატიულ და სოციალისტურ რიგების ხელმძღვანელ — ლიდერებათ ძველების მაგივრათ სულ ახალი ხალხია, რომელნიც ჩვენ საკითხს არ იცნობენ. ბევრს შეიძლება კიდევაც დაგავიწყდით და მათ ხელახლად უნდა მოვაგონოთ ჩვენი არსებობა. ერთი სიტყვით — საქმიანობის ასპარეზი ფართე და დი-

დია, გასაკეთებელი, რამდენიც გინდა იმდენია, მხოლოდ ეს საქმიანობა იქნება მტათ რთული და ძნელი. საჭიროა გაუტყნელი იმედი და ენერჯია, რომ ბევრი სიძნელენი ვარდევული და დაძლიეული იქნას.

უეჭველია საქური მუშაობაში არა ერთი და ორი დაბრკოლება გვექნება. პირველ ყოვლისა ჩვენი საქმიანობის გაბათილებას შეეცდება ჩვენი მტერი — საბჭოთა ხელისუფლება.

ქართველი პოლიტიკური ემიგრაციისადმი ნდობა დიდი იყო და არის დღესაც საქართველოში. ეს ადვილი ვასაგებია: ემიგრაციაში არიან ჩვენი ერის საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწენი. ქართველ ხალხმა კარგად იცის აგრეთვე, თუ რა მუშაობა გაუწევია პოლიტიკურ ემიგრაციას ევროპაში მის სასარგებლოთ, რომ ის არის ოკუპანტებთა ბოროტი საქმიანობის სასტიკი მამხილებელი უცხოეთში. ამიტომაც არის ქართველების თვალყური აქეთ მოქცეული. რა არის ამის შემდეგ გასაკვირი, თუ საბჭოთა ხელისუფლება ასე მოწადინებულია ქართველი ემიგრაცია პოლიტიკურათ მოშალოს და მორალურად გასტყნოს?

ამ ხელისუფლებას მართლაც რომ აინტერესებდეს ბედი ემიგრანტებისა, როგორც ქართველების, რომელნიც უნდა დაუბრუნდენ სამშობლოს, ამოდგენ ქართველ ხალხს გვერდში და გაიზიარონ მისი ჭირი და ლხინი, ვინ უშლის, ვინ უკრძალავს მას სამშობლოს და ქართველ ხალხს დაუბრუნოს ათეული ათასები მისი საუკეთესო შვილებისა, რომელნიც წლების განმავლობაში რუსეთის სხვადასხვა შორეულ კუთხეებში იტანჯებიან? მაგრამ ჩვენს მტერს აინტერესებს არა ქართველების ფიზიკურად გადაჩენა და მათზე ზრუნვა, არამედ ევროპაში მყოფ პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობას სთვლიან ისინი მათთვის მავნებლათ და ამიტომაც უნდათ ამ ემიგრაციის დაშლა და დაზარევა.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 30 წლის თავზე ქართველი ემიგრაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სხვა ერების ემიგრაციასთან შედარებით, ის დღეს პოლიტიკურად ყველაზე უფრო კარგად არის თავდაცული და შენახული.

და თუ ზოგი ნაკლი და სისუსტე გამოგვიჩადა — რა უყოთ, ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. საქმიანობაში და მოქმედებაში კი ყოველგვარ ნაკლს ადვილად გადავლახავთ.

კ. გვარჯალაძე





„ოცდა მესამი მაისი“-სათვის

დიდება სამშობლოს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

რუსეთის რევოლუციის დასაწყისშივე ქართველი იური იწყებს მონობის საუკუნის განმავლობაში რუსეთის მიერ წართმეულ სულიერ და მატერიალურ ქონებათა დაბრუნებასა და კვლავ მითვისებას.

რევოლუციის გაჩეხვაზე იური დემ. მიმართულების მეთაურობა საქართველოს ეკლესიის მეთაურობასთან შეთანხმებით 1917 წ. მარტის 12-ს მცხეთაში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას იწვევს და აღადგენს ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობას. მცხეთის ზარები აღვიძებს ქართველ ერს საუკუნის ძილისაგან და ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის მოუწოდებს. ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა პირველი ქრონოლოგიური - სრევოლუციონური ნაბიჯია აღვიძებული ქართველი ერის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი თავისუფალი არსებობისაკენ მიმართულ გზაზედ.

ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთ, მესამოციანეთა წლების დასიდან რომ წარმოიშვენ, მომზადილი აქვსთ მატერიალური და სულიერი საფუძვლები ჩვენი ერის მეორე სულიერი დასრვის აღსადგენათ: 1918 წ. იანვრის 26-ს პრეზ. ივ. ჯავახიშვილის, მელიქიშვილისა და ექ. თაყაიშვილის მეთაურობით ნ. ცხვედაძის მიერ ამოწმებულ ქართული ფინანსების დარბაზში ხსობა ქართული მეცნიერების ტაძრის აღდგენა. იშვა ქართული უნივერსიტეტი, ქართული სწავლისა და მეცნიერების კერა. ესეც მეორე ნაბიჯი და მეორე სულიერი საფუძველი თავისუფალი სახელმწიფოებრივი არსებობის აღდგენისათვის.

საქართველოს, ამიერკავკასიის სამმართველო ერთეულში შემავალს ჯერ კიდევ რუსეთის მიერ დაწინაურებული სახალხო კომისარიატი და ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭოები მართავს. საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩვენს ქვეყანაში მობინადრე მცირე ერებსაც კი შექმნილი აქვთ თავიანთი ეროვნული საბჭოები. ქართველ ერს ჯერ არავითარი ეროვნული საბჭო არ აქვს.

მოგვინათა სწრაფი განვითარებით—საშინაო და საგარეო ვითარებათა მცობებით გვიახლოვდება საქართველოს თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენის მომენტი. საჭირო არის უკვე აღ-

დგენილ სულიერ საფუძვლებთან ერთად მატერიალური საღისარიც. ეს. დემოკრატიული მიმართულების მეთაურობა მოლაპარაკებას აწარმოებს ქართველ თავად-აზნაურობის მარშალთან. მარშალი, თავადი კონსტანტინე აფხაზი, თავად-აზნაურობის სახელით ღებულობს გეგმას, რომლის მიხედვითაც საქ. თავად-აზნაურობა საფუძვლად უდებს მის განკარგულებაში არსებულ დიდს საზოგადოებრივს ქონებას საქართველოს მომავალ სახელმწიფოს და მოითხოვს ეროვნული საბჭოს შექმნას. მმართველი წრე იწყნარებს ამ წინადადებას

1917 წ. ნოემბრის 22-ს ქ. თბილისში მოწვეული იქნა—ქალაქის თვითმართველობათა, აღმდგარი ეკლესიის, თავად-აზნაურთა საკრებულოთა, კულტურულ საზოგადოებათა და პოლიტიკურ პარტიათა—წარმომადგენელთაგან შემდგარი ეროვნული საბჭო, რომელსაც მარშალ კონსტანტინე აფხაზმა, თავად-აზნაურობის სახელით, მიართვა მთელი მათი საზოგადოებრივი ქონება. ეს ეროვნული საბჭო იქცა შემდეგ პარლამენტად, რომელსაც წილად ხვთა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ეს ხანა იყო საგარეო ომებისა და შინა - ანარქიის, რომელსაც ოსმალეთის ფრონტზედ დაჩინილი რუსის ჯარის ნაწილები იწვევდა და რომელთა საწინააღმდეგოთ ნაჩქარებათ სდგებოდა პარტიული ახალგაზრდათაგან თავგანწირულთა რაზმები. აღერბეიჯანიდან საქართველოს უახლოვდებოდა რუსეთის ბოლშევიკური ნაწილები, რომელსაც წინ მიეგება პოლ. დავით მიქელაძისა და პოლკოვნიკ ჯაფარიძის მიერ ნაჩქარებათ შექმნილი ქართული ლაშქარის პირველი ნაწილი, ხევსურთაგან და მოსწავლე ახალგაზრდათაგან შექმდარი. დასავლეთით აფხაზეთის საზღვრებზე რუსის ბოლშევიკების ნაწილები შემოესია საქართველოს. ოსმალეთმაც ბათომხედ გამოილაშქრა და ამავ დროს ზეკარის უღელტეხილზედაც მოგვადგა მისი ჯარები. მათ ებრძოდა ნაჩქარებათ შექმნილი ჯარის ნაწილები, გვარდიის ნაწილები და სხვადასხვა პარტიის ახალგაზრდათაგან შემდგარი მოხალისეთა ნაწილები. აი ასეთ საშინაო და საგარეო მძიმე პირობებში გზას იკვლევდა და იბადებოდა 117 წლის განმავლობაში რამოდენიმე ქართველ



თაობათა თავგანწირული ბრძოლების, მოქმედების, ფიქრისა და აზროვნების მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფალი არსებობა.

1918 წ. მაისის 26-ს ვარდ ყვავილებით სამართლიან მომართული საქართველოს იდეალურ თბილისში ქართველი ერის პოლიტიკური მეთაურობა პარლამენტის სახით აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას. 117 წლის სუსხიანი ზამთრის შემდეგ ქვეყნის ბუნებასთან ერთად აცოცხლდა ქართველი ერი და განიახლა თავისუფალი სახელმწიფოებრივი არსებობა. აღსდგა ძველი და ახალი საქართველოს შორის, ზოროტის ხელით ჩატყნობილი ხიდი, რომელზედაც ძველი საქართველოს ისტორიული ძალები უნდა გადმოსულიყო და ძველ ისტორიულ საფუძვლებზედ ახალი საქართველოს ახალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღეშენებინა. ქართველმა ერმა საკუთარი ეროვნული ცხოვრებით იწყო სიცოცხლე, საკუთარი სახელმწიფოს აღშენება და ცვისათვის მოქმედება და ბრძოლა. შეესძელით შინა ანარქიის აღკვეთა, გარემო მტერთა დამარცხება თუ შეჩერება და ქართველი ერი კვლავ თავისუფალი ერთა რიგში ჩავაყენეთ.

ხანმოკლე იყო ჩვენი ბედნიერება. ახლად აღდგენილმა საქართველოს სახელმწიფომ ვეღარ გაუძლო მოლაპატე ქართველთა მეზობრებით შემოსეულ წითელ რუსულ ურჯოლებს და ხანმოკლე, მაგრამ მედგარი ბრძოლების შემდეგ, 1921 წლის მარტის პირველ ნახევარში დამარცხდა. წითელმა რუსეთმა კვლავ სისხლში ჩაახრჩო თავისუფალი საქართველო. 27 წელიწადია რუს დამპყრობილი საქართველო იზინება და დამპყრობილი ერი ჰგმინავს რუსეთის სიმძიმისა და სიტლანქის ქვეშ. წითელი რუსეთი ჩვენს ერს უნადგურებს და აცლის ყველა იმ სულიერსა და მატერიალურ საფუძვლებს, რომელიც გაადაურჩა რომანოვების რუსეთს: სარწმუნოებას, ოჯახს, კერძო საკუთრებას, პიროვნულ თავისუფლებას, მორალსა და ზნებას, ანადგურებს ერს ფიზიკურათ. 27 წელიწადია ქართველი ერი ებრძვის და უძლებს შემოჭრილ

მტერს. 1921-დან 1924 წლებში მომხთარი რამოდენიმე კუთხური და შთიანი ეროვნული აჯანყება და ბოლოს 1937-38 წლებში მომხთარი ამბები ამ ბრძოლის საუკეთესო გამოსახულებაა. ქართველი ერი არ ურიგდება მტერს.

ქართველთა ემიგრაცია, საქართველოს დაპყრობის ნიადაგზე რომ წარმოიშვა, სულიერათ განუყრელია ქართველი ერისაგან. მისი ეროვნული და პოლიტიკური მისია იყო, არის და იქნება ეროვნული თავისუფლების ძიება: მისთვის ფიქრი, მოქმედება და ბრძოლა დროისა და გარემოების მიხედვით. ქართველთა ემიგრაცია ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ და მორალურ სიმაღლეზედ იდგა. ის იბრძოდა და მოქმედებდა საქართველოს თავისუფლების აღსადგენათ. ამ მიზნისთვის სიტყვითა თუ კალმით წვდებოდა განათლებული კაცობრიობის პოლიტიკურსა თუ კულტურულ წრეებს, საქართველოს სასარგებლოთ საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლათ და მეოთხედი საუკუნეა რაც ქართველთა ემიგრაცია ამ მუშაობას აწარმოებს.

საქართველოს თავისუფლების საკითხი მუდმივია და სდგას ქართველი ერის წინაშე, ხან მისი მოპოვებისა და ხან მისი დაცვის სახით. კულტურულ კაცობრიობასაც წინ უდგას იგი საერთო ეროვნული საკითხის სახით, რომლის დადებითად გადაჭრა ერთ - ერთი საფუძველთაგანია მსოფლიო მშვიდობიანობის.

ჩვენმა თაობებმა საკუთარის არსებით განიცადა სამი წლის დამოუკიდებელი არსებობა და ოცდაშვიდი წლის ხელახალი ეროვნული მონობაც. ჩვენ, მტენაკლებათ, მომქმედნი პირნი ვართ, როგორც თავისუფალი, ისე დაპყრობილი საქართველოს ორი ეპოქისა. ეს გვახდებს ქართველის უტყვი სულითა და დაუღალავი მუხლისთ მიესჯილით ოცდაექვსი მაისის სამფერ დრომას მის საბოლოოთ გამარჯვებამდე. სამი წლის თავისუფალი საქართველოს არსებობიდან მიღებული ქართული სული და ოცდაათი წლის მშავლობაში მისთვის გაწეული ბრძოლების მოგონებანი შეგვაძლებინებს ეროვნული გზით გამარჯვებამდე მისვლას.

ელ. პატარიძე

საქართველო და ბოლშევიკები

მე-18 საუკუნის ბოლოს ოსმალეთ-სპარსეთისაგან თავის გადსარჩენათ საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე და რუსეთს შეუერთდა. 1918 წელს, 26 მაისს, იმავე საქართველომ,

იმავე ოსმალეთისაგან თავის გადსარჩენად, თავის დამოუკიდებლობა ხელახლა აღიდგინა. ამ რიგათ, ერთმა და იმავე მიზეზმა კიდევ დაუკარგა მას დამოუკიდებლობა და კიდევაც მოუპოვა.





არა ნაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე დამოუკიდებლობის მეორეთ დაკარგვაში, უდიდესი როლი ითამაშეს შინაურმა ძალებმა. სამეფო საქართველოს ძირი გამოუთხარა ზოგიერთი ფეოდალთა თავ-გასულობამ, პირადმა ამბიციებმა, ეგოიზმმა. ყოველივე ეს პირწმინდათი განმეორდა ერთი საუკუნის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში, იმ განსხვავებით, რომ ახლა ფეოდალთა რიგში გამოვიდნენ ქართველი ბოლშევიკები, სპარსელ-ოსმალთა ნაცვლად წითელი რუსეთი შემოიყვანეს და მათი საშვალებით თავის ბატონობა დაიმკვიდრეს.

ბოლშევიკებს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში არას იდროს არ ქონიათ რაიმე სერიოზული ნაღვლი; ისინი მთლად უცხონი იყვნენ ჩვენი ხალხისათვის. მათი წარმოშობი იყო რუსეთის სინამდვილე და არა საქართველო. ამიტომ მათი გამარჯვების წყაროც შეიძლება იყოს რუსეთი და არა საქართველო.

თუ რა უმნიშვნელო იყო მათი გავლენა ჩვენს ქვეყანაში—ამას ამტკიცებს თუ გინდა ის ხმები, რომელიც მიიღეს მათ ჯერ კიდევ რუსეთის დაბნეულობის კრების არჩევნებში, როცა დამოუკიდებელი საქართველო არც კი არსებობდა. ამ არჩევნებს ხელმძღვანელობდნენ თვით კომუნისტები, რომლებსაც ამ დროს ჩაგდებული ქონდათ ხელისუფლება. მიუხედავად ამისა მათ მთელ ამიერკავკასიაში ერთი დებუტატის გასაყვანი ხმებიც კი ვერ შეაგროვეს, თუმცა არჩევნები პროპორციონალური იყო. მოგვყავს სანამუშაო რამდენიმე მაგალითი: მთელ ქუთაისის გუბერნიაში ამ არჩევნებში მათ მიიღეს—5.195 ხმა, მაშინ როცა სხვა პარტიებმა ასეული ათასები. ისევე თბილისის გუბერნიაში. განსაკუთრებით საგრძობი იყო მათი დამარცხება მუშათა კახიონებში. მაგ. რკინის გზის მოსამსახურეთა შორის მათ შეაგროვეს მხოლოდ—53 ხმა, ნაფთაში—29 ხმა და სხ. ერთი სიტყვით არც მთვრებში, არც გლეხებში, არც ქალაქის მცხოვრებთა შორის მათ არ ქონიათ არავითარი გავლენა. და აი ასეთ პარტიას პრეტენზია ქონდა გამხდარიყო ჩვენი ქვეყნის მეთაური. მაგრამ რადგან იცოდა რომ ამას თავის ძალებით ვერ შესძლებდა—ქმედდა დამხმარეს და კიდევაც იპოვა რუსის კომუნისტებში, რომელთა განკარგულებაში ამ დროს მრავალრიცხოვანი ჯარი იყო.

როგორც ვიცით ბოლშევიკებმა 25 ოქტომბერს მოახდინეს გადატრიალება და ძალა უფლება ხელში ჩაიგდეს. მოახდინეს დამსუფთავებელი კრე-

ბის არჩევნები, შეკრიბეს კიდევც მარა რადგანს უმცირესობაში მოხვდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ გარეკეს. დამგ. კრების გარეკით გაქრა უკანასკნელი იმედი რევოლუციის გამარჯვების. რუსეთის ვრცელ სივრცეზე აგორდა ანარქიის შეუკავებელი ტალღა. ასპარეზზე გამოვიდა სამოქმედო, უკეთ დასანგრევო, ყველაველური ინსტინქტები; აბოძოქრდა საუკუნოებით დაგუბებული ბოღმა და ნაღველი, სიველურე და უფიცობა, შური და ბოროტება, სიძულვილი და მტრობა და ამ საწინელი სტიქიის მწვერვალზე წამოსკუპდნენ კომუნისტები და მისი შესაქე გახდნენ.

გაჩაღდა სამოქალაქო ომი, წარმოიშვა მრავალი რესპუბლიკები და ამიერ-კავკასიაც იძულებული გახდა, 1917 წ. 24 ნოემბერს, ყველა პოლიტიკური პარტიების დადგენილებით, შეექნა საერთო მთავრობა, რომელშიდაც შევიდნენ ყველა ადგილობრივი ერების წარმომადგენელი. ბოლშევიკებმა კი მონაწილეობაზე უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ ეს რუსეთზე ჩამოშორებას ნიშნავსო. მათი კომისრები გაძვრნ ფრონტზე, გამოაცხადეს მოსკოვის სახელით ომი გათავებულათ, მოშალეს ფრონტი, დაადეს საზღვრები დაუცველათ, დაუტოვეს თურქებს უამრავი სამხედრო სიმიდრე, მოახდინეს დემობილიზაცია, ჩაუდგენ სათავეში მომავალ ეშალონებს, გააჩაღეს მათ შორის აგიტაცია—კავკასია რუსეთს შორედებაო და რუსეთის მთლიანობის სახელით ითხოვედნ მათგან კომისარიატის დატყვევებას და თბილისში კომუნისტური ხელისუფლების დამყარებას. ამავე ხანებში, მიუხედავად კომისარიატის არსებობისა, მოსკოვმა დანიშნა ამიერ-კავკასიის კომისრათ ბოლშევიკი შაუმიანი და მისი მდივანთ ბოლშევიკი კუზნეცოვი. კომისარიატმა გაიგო თუ არა ეს—წინადადება მისცა მათ 24 საათში დაეტოვებიათ თბილისი. კომისარი და მისი მდივანი გაიქცნენ, შეუერთდნ რუსის ეშალონებს და შეეცადნ თბილისში ძალით შემოსვლას, მაგრამ დამხმარე ძალების შიშით ველარ გახედეს და რუსეთისაკენ გასწიეს.

როცა ამ ეშალონების გამოყენება აღარ მოხერხდა—დატრიალდნ შიგ თბილისში და ქუთაისში დაბანაკებულ ჯარებში. ქუთაისის პოლკების ყაზარმაში ჩაჯდა ცნობილი ბოლშევიკი ბ. მდივანი და იქედან აქეზებდა ჯარის კაცებს აჯანყებაზე. კიდევ უარესი იყო მდგომარეობა თბილისში. მათდა საშუააროთ ახლაც ვერსა





გახდენ. ამ პოლკების რუსეთში გამგზავრებაც მოხერხდა ისე, რომ მსაინცდამსაინც დიდი ექსე- სები არ მოჰყოლია.

ოსმალეთის ფრონტის მომლას მოჰყვა ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც მოსკო ვმა ოსმალეთს ყარსი, ბათუმი და მისი ოლქი გადასცა და როცა ოსმალეთმა მისი ჩაბარება მო ითხოვა—კომისარჩატმა მის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. ამას მოჰყვა ოსმალეთის შე- მოტყევა. მთელ საქართველოში შესდგა მონა- ლისეთა კრახმები და ფრონტისაკენ გაქმურენ. ამ „სამღვთო ომში“ არ მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ ბოლშევიკებმა. კიდევ მეტი. ისინი და- რჩენ ზურგში, ეწეოდენ აგიტაციას წინააღმდეგ, აწყობდენ საბოტაჟს და პატარ-პატარა გამო- სვლებს, რომ არეგ-დაჩვივით ხელი შეეშალათ საქართო ძალების დაგროვებაში. სახელდახელოთ შეგროვილი მობალისენი ვერ გაუმკლავდენ ოს- მალეთს და ბათუმი დაეცა. ამას მოჰყვა კომისა- რიატის და სემის დაშლა. აუცილებელი შეიქნა დამტარებულათ დამოუკლებელი რესპუბლიკების გამოცხადება. და, 1918 წ. 26 მაისს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკლებლობა. დაიწყო ცალ- ცალკე რესპუბლიკების ცხოვრება.

ქართველი ხალხი წარმოუდგენელი ენტუზი- აზმით ჩაება თავის ქვეყნის შენებაში. ვილას ახ- სოვდა ან პირადი, ან პროფესიონალური ინტე- რესები და მოთხოვნილებანი. ყველაფერს უღრ- ტინლოთ იტანდენ, ოღონდ კი საერთო საქმე გაკეთებულყო. საქართველოს სამი წლის არსე- ბობა—ეს ნამდვილი ეროვნული მამტაბით წა- რმოებულნი რევოლიუციის იყო. ეს იყო ხანა ერის ალორძინებისა. 26 მაისით, მართლაც, რომ და- იწყო ისტორიული ერა ქართველი ხალხის ცხო- ვრებაში. ამით იყო ის ძლიერი, უძლეველი და მიმზიდველი. მას ჰქონდა მუშაობის საკუთარი მეთოდი, ის მიდიოდა თავის საკუთარი გზით და ყოველივე ამით ის პრინციპიალურათ და რადი- კალურათ განსხვავდებოდა ყოველივე იმისგან რაც ხდებოდა რუსეთში. მიუხედავთ ეკონომი- ური გაჭივრებისა, წესრიგი და მშვიდობიანობა საფსებით უზრუნველყოფილი იყო. ამიტომ იყო რომ რუსეთიდგან გამოიბოდენ ჩვენში, ისე, რო- გორც ეხლა გამოიბოდენ ჩვენში, ისე, რო- გინდა რომ არ მოდიოდა: არტისტები, პროფე- სოროები, მეცნიერები, მუსიკოსები, პოლიტ. მო- ღვაწენი, მუშები და სხ. და ყველას ნორჩი რე- სპუბლიკა ხელგამლით იღებდა, რაც შეეძლო დახმარებას უწევდა. ამ საერთო, საქვეყნო აღ-

მშენებლობაში არ იღებდენ მონაწილეობას მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკები. პირიქით, გულზე სკდებოდენ, რომ პატარა საქართველო, ირგვლივ მტრებით შემოქალტული, ახერხებდა სისხლის დაუღვრელათ, სრული თავისუფლების ფარგლებში და ძალდატანების გაჩეწე, ეშენებია ქვეყანას. და რამდენათ ეს არი გავდა მათ სისხლი- ან საქმიანობას, იმდენათ მისდამი შტრით და მტრობით იესებოდენ და კიდევაც მისი მოსპობა დლის წეს-რიგში დასვეს. მავრამ ეს უნდა მომ- ხდარიყო ისე, რომ, გარეგულათ მაინც დაპყრო ბის სახე არ ჰქონოდა.

იმათ კარგათ იცოდენ, რომ ამ მხრივ ქარ- თველ ხალხთან ჩვეულებრივი პროპაგანდა აგი- ტაციით ვერას ვახდებოდენ. ამიტომ უნდა და- ეწყით აქტიური მოქმედება, მაგრამ, რადგან რუსის ჯარი ჯერ კიდევ შორს იყო—შეეცადენ პატარ-პატარა გამოსვლებით შეექმნათ არეუ- ლობანი. და მართლაც, დამოუკლებლობის არ- სებობის ხანაში მოხდა სამი გამოსვლა, რომე- ლიც მათ დიდის ამბით აჯანყებათ მონათლეს. ეს გამოსვლები მოხდა ერთი შავი ზღვის ნაპი- რის საზღვრებზე, მეთორე—დღემეთის მაზრაში და მესამე ოსეთში, ცხინვალის რაიონში. სამივე არეულობა მოხდა ერთი და იმავე ფორმით: რუ- სის ჯარის ბანდები შემოიჭრებოდენ ჩვენს ქვე- ყანაში, მათ შემოყვებოდა თითო - ოროლა ქარ- თველი კომუნისტი, შეეცდებოდენ ადგილობრი- ვი ელემენტების მოსყიდვით თუ მუქარით მი- მხრობას, დაიწყებდენ აგიტაციას რუსეთის სა- დიდებლათ და აქეზებდენ მცხოვრებთ საქართვე- ლოს მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ საქმარისი იყო ჩვენი ჯარების გამოჩენა, რომ შემოჭრილი ბანდები გარბოდენ, სტოვებდენ სამხედრო ია- რადს და თუ შეტაკება მოხდებოდა ყოველთვის მათი ღამარცხებით თავდებოდა. ჩვენ არას ვა- მბობო აქ, გურიაში გამოსვლებზე, რომელიც გამოიხატა იმაში რომ, ღამით რამდენიმე ბო- ლშევიკი დაემატრჩონა ოჩრიოდე სოფლის კანცე- ლარისას, მარა დილით ყველა ისინი დაატყვევა თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ისე, რომ მთავრობას არც კი გაუგია.

ხაზ გასმით აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გა- მოსვლები ხდებოდა არა ადგილობრივათ შე- ქმნილი ურთიერთობის ნიადაგზე, არამედ სხვისი ინტერესებისათვის და სხვისი კარნახით. და რომ ეს მართლაც ასე იყო გვარწმუნებენ თვით ამ გამოსვლების მეთაურები თავიანთ მოგონებე- ბში. „1918 წ. ივნისის 20—სწერს დღემეთის „აჯ





ანკების“ ერთი მეთაურთაგანი ვინმე ნ. ა.—კავკასიაში ბაქოდან ამხ. წაუღიანისაგან, მისი პირადად შიკრიკის ხელით, მიღებულა იქნა წერილი, სადაც ის მიუთითებდა რა იმ საფრთხეზე, რომელიც საბჭოთა ბაქოს მოელოდა ოსმალოებისაგან, აუცილებლათ შიანნდა საქართველოს გასაბჭოების დაჩქარება. ამის გამო საოლოქო კომიტეტმა დაადგინა დაუყონებლივ გაეგზავნა ზოგიერთი თავისი წევრები თბილისში საჭირო დირექტივების მისაცემათ“ და სხ. („რ. მ.“ № 2)

აქედან ცხადია რომ საქართველოს გასაბჭოებას აჩქარებდა არა ადგილობრივი რაიმე ინტერესები, არამედ შეშინებული ბაქოს კომისარი, ამას იღებენ ქართველი კომუნისტები, მიდიან დუშეთში აჯანყების მოსაწყობათ და რადგან ადგილობრივ ვერავის შოულობენ—იწვევენ დამხმარეს კავკასიიდან.

ამ გვარადვე იყო მოწყობილი ლორის „აჯანყებაც“. მე-11 არმიის განხეთი „კრ. ვინ.“-ში დაბეჭდილია, ვინმე ბარისოვისკის მოგონება, სადაც ამჟამათ არის ნათქვამი, რომ „ლორის აჯანყება“ მოაწყო მოსკოვის დავალებით წითელი არმიის აგენტებმა და რომ „თვით ლორში საბჭოების ბატონობა ძლევა-მოსილმა საბჭოთა არმიამ დაამყარა“-ო. ის არც იმას მაღაფს რომ, როგორც კი გამოჩნდენ ქართველი ჯარები „აჯანყებულები“ ყველა შთებში გაიქცაო.

ეს ჯარი კი, რომლის გამოჩენაზე ეს ცელადი აჯანყებულები გარბოდენ—იყო გვარდია. ცხადია, როგორც ვიცით, შესდგებოდა შეგნებულ ირევოლიუციონერი მუშებისაგან. ამიტომ იყო რომ ის ამარცხებდა მათ არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ იდეურათაც. მას შექონდა გაბრწყინებულ ხალხში შეგნების უეჭი სიტყვით, საქმით, მართავედა კრებებს, აცნობდა მდგომარეობას და სხ. და სხ.

როცა ბოლშევიკები დარწმუნდენ რომ ასეთი „აჯანყებით“ მიზანს ვერ მიახწევდენ, გადავიდენ პირდაპირ ომზე. და როგორც კი წითელი ჯარები საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდენ, მიყრუებულ სოფელში, შულავერში, შეადგინეს მთავრობა და გამოუძღვენ წითელ ჯარებს სამშობლოს დასაპყრობათ. გაიგო თუ არა ეს დამგ. კრებამ დაადგინა: „ფ. მახარაძე, შამია ორახელიაშვილი, ბუღუ მდივანი, შალვა ელიავა, მ. ოკუჯავა, ლადო ღუმბაძე, ომარ ფაიკი, ჰამაიკ ნაზარეთიანი, სანა გეგუკორი და ზესო კვირკველია გამოცხადებული იქნეს ხალხის მოლატეხათ და დაყენებული იქნას კანონს გა-

ირზე“. შემდეგ ყველა ეს პირები, ორიოდეს გამოკლებით, დახვრიტეს თვით კომუნისტებმა.

ბოლშევიკებმა გულის წადილი აისრულეს. საქართველო დაპყრეს და მოსკოვის სამსახურში ჩადგენ. ამ დაპყრობას „კრას. ვინ“-ი ასე აგვიწერს: „ლირსეული მტერს ქართველები მძიმე გაუბიძების გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდენ. ვეებერთელა ტანკები ერთ წუთს შეკრთენ, როცა მძიმე ჭრილობები იგრძნეს. მაგრამ აღსანიანის ნების ყოფამ სძლია მათ და ისინიც გაქანდენ წინ“. და ვრცელი აწერილობა თავდება ასე: „მტრის წინააღმდეგობა გატეხილია, მან ლკან დაიხია და ჩვენ ძლევამოსილ მატარებელზე ინტერნაციონალის სიმღერით პირველი შექვიდვართ თბილისში“. კომუნისტებმა კი ეს ამბავი ასე გადასცეს ევროპას: „რევოლიუციონერმა ქართველმა (ხაზი ჩვენია) მუშებმა და გლეხებმა თბილისი დაიკავეს“-ო.

ინტერნაციონალი, ეს უწმიდესი სიმღერა მუშათა სოლიდარობისა, გახდა საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის განადგურების სადიდებელ პიქნათ. და კომუნისტები შემდეგ ჯავრობდენ, რომ ამ სიმღერის დროს ქართველი პატრიოტები ფეხზე აღარ დგებოდენ, რისთვისაც მათ წინააღმდეგ უნემ ძალას მიმართავდენ. ასე წაბილწეს იმათ ყოველივე ის, რასაც მთელი თაობები აღტაცებით ემსახურებოდენ და თავს სწირავდენ.

საქართველოს დაპყრობამ მთელი ევროპის მოწინავე საზოგ. აზრი აამფოთა. მით უმეტეს, რომ ეს დაპყრობა მოხდა მას შემდეგ, რაც მათ, 7 მაისის ხელშეკრულებით, უკვე ნაცნობი ქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობა. კომუნისტების ამ ვერაგული აქტის გასამართლებლათ ტროცკიმ ცამოსცა ბროზჟურა, სადაც, სხვათა შორის, სწერდა: „ჩვენ არა თუ ესცნობთ ერთა თვით გამორკვევის უფლებას, არამედ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს ვახმართ ამ უფლების განხორციელებას ყოველთვის, როცა ის მიმართულია ფეოდალურ, კაპიტალისტურ და იმპერიალურ ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ, როცა ერთა თვით გამორკვევის ფიქცია მუშათა სრულსაწინააღმდეგო იარაღათ იქცევა, როგორც ეს არის საქართველოში, ჩვენ არ შეგვიძლია ამ ფიქციას პატივის ცემით მოვებყრათ“-ო და სხ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ისინი თვით გამორკვევას ანგარიშს უწევენ და სცნობენ თუ ეს მათთვის ხელსაყრელია, და თუ არა—თოფი და ზარბაზნი. ასე იქცევოდენ ყველა ქვეყნის და ყველა ჯუ-



რის იმპერიალისტები და თუ ამას დაუმატებთ რადეკის განცხადებას საში ინტერნაციონალის შეერთებულ სხდომაზე—საქართველო ბაქოს ნავთობსაბურთის დავიპყროთო, კომუნისტების იმპერიალისტური მოტივები ყოველივე იქვეს გარეშე იქნება. თუ რუსეთში კიდევ ქონდა რაიმე გამართლება ფეოდალურ სრეაქციასთან მათ ბრძოლას, აქ, საქართველოში, ამის შორეული საბაზიკ კი არ ქონათ და არც მნიშვნელობა ქონდათ, რადგან ჩვენში არც ფეოდალები იყვნენ და არც ფეოდალური რეაქცია. და რომ ეს ასე იყო კარგად იცოდნენ თვით ქართველმა კომუნისტებმა. ამისთვის საკმარისია მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილი იმ მოხსენებიდან, რომელიც ფ. მახარაძემ გაუგზავნა მოსკოვს საქართველოს დაპყრობის ერთი წლის შემდეგ.

ამ მოხსენებაში მახარაძე სწერს: „როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შემოტევა, არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ, არც ერთმა წევრმა საქართველოში (ხაზი ჩვენია) არაფერი იცოდა და იჭვიც კი არ ქონდათ. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული იაჩეიკა, არც პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შესძლებოდა უფლებების ორგანიზაციის მოწყობა და რომ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან პირდაპირ ბოროტ-მომქმედმა ელემენტებმა. საქართველოში წითელი ჯარების შემოსეულამ და

საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადებამ მიიღო „შეკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არაფერი არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე“... „მიუხედავად რევკომის არსებობისა, ფაქტიურათ ნამდვილი უზენაესი ორგანო ძალა - უფლების არის მე-11 არმიის „რევსავეტი“, რომელიც უმეტეს ნაწილათ სწყვეტს საქართველოს შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რასაკვირველია, ც. კ. და რევკომის დაუკითხავათ“ და სხ. და სხ. ამას კომენტარიები აღარც ესაჭიროება.

ჩვენი დამოუკიდებლობა მოსპეს. და ამ დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე ჩვენ საქართო დავინახეთ მოგვეგონებია ჩვენი მკითხველისათვის, რაც შეიძლება მოკლეთ, ყოველივე ის რაც წინ უსწრებდა ჩვენს დაპყრობას. მიუხედავად ამ 30 წლის საშინელებისა, ჩვენ გვჯერა და ღრმით ვართ დაჩქმუნებულო, რომ 26 მაისის იდეალები ერთსულოვნათ არის შენახული ქართველი ხალხის გულში და რომ ამით გაყდნთილია არა მხოლოდ 26 მაისის თაობა. და ეს უტყუარი თავდება იმის, რომ საქართველო კვლავ აღსადგება. და ამ ბედნიერი დღის მოსახლოებლათი ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის წმინდა მოვალეობა არის იყოს ურყევი და იმუშაოს ამისთვის, იმუშაოს და კიდევ იმუშაოს...

გრ. ურატაძე

### სინამდვილიდან სინამდვილეში

#### ვუძღვნი მ—ა დალიანის ასულს

უცნაურია ჩემი ბინა, არც მე მიყვარს და არც მას ვუყვარვარ, უერთმნეთოდ ვერც—ერთი ვერ ვაქლებთ. ვერ ისვენებს მასში ეს უსაზღვრო მწვითავი სული. მსურს გავექცე, ვინმეს რაღაც უფაშო, ვინმეს რაღაც მოუთხრო, იქნებ...! ვინმემ რაიმე გამოგოს. რა...? არც მე ვიცი.

ნერვებ აშლილმა გამოვკეტე ოთახის კარები და გამოვედი ქუჩაზე. პარიზი ვრცელი და ლამაზი ქალაქია, ჩემთვის კი რამდენათ მშვენიერი იმდენათ უხეში, რამდენათ მომლიძარე. იმდენათ სევდით სავეს, სხვისი სიცილი ჩემი ცრემლია. სხვისი ბედნიერება ჩემი უბედობა, ასე ნერვებ აშლილი, გონება აფორიაქებული შიგაბიჯებლი გამხდარ ფეხებს მზით გახურებულ ასფალტის ქუჩაზე.

იცამარჯვება, მესალმება ფრანგი და თან უმა-

ტებს, „რა კარგი ამინდია“. ზრდილობის საკითხია, უნდა დავემოწმო. საკვირველია ბუნება: ყოველ სასაუბრო ენისათვის საკუთარი გამოთქმები მიუნიჭებია. ორივემ ვიცი, რომ კარგი ამინდია, ორივეს თვალები ჯანმრთელი გვაქვს. სიტყვით მაინც უნდა ითქვას „რა კარგი ამინდია“. ამ ქვეყნისათვის მართლაც კარგი ამინდი იყო. ხელ-ფეხ ვაკრულმა საფრანგეთმა ბორკილები შემოიხსნა, მკერდზე დაბრჯენილი მძიმე ლოდი გადაადლო. გამარჯვებას ზეიმობდა. ზეიმი ქუჩებს ჟივილ-ხივილით ათრობდა. შორიდან მოკავშირეთა ეროვნული სიმღერები ისმოდა. მათივე დროები თვითიულ სახლის ფანჯრებზე შექოჩრილიყო.

ამერიკელი ჯარის-კაცები „შვინგომების“ დე-





ქვეთ ფრანგებს გამარჯვებას ულოცავდნენ. ქუჩაზე გამოსული მცხოვრები ყვავილებს უფენდა და გახარებული კოცნას უგზავნიდა ბრძოლის ველოსაკენ მიმავალ ჯარისკაცებს. გამარჯვება, გამარჯვება, ყველგან ისმოდა ეს სიტყვა. მზე იცინოდა, მიწა ხარობდა, ხალხი სიხარულის ზეციურ აღმაფრენას მისცემოდა. ჩემთვის ყოველი წუთი ეკალი იყო, ნერვ სისხლიანი, მოურჩენელი ჭრილობებზე მტკინვეულად ამოსული.

ღმერთო შეშინდე. ბოროტი არა ვარ. არც შეურიანი, ქვეყნად ბედნიერების ღირსნი ყველანი არის, არამც თუ აღამიანი, ცხოველიც კი. მე ჩემი საკუთარი ტკივილები მსაწუხებდა, მამფოთებდა, მალეღებდა კიდევ. საშინელი გულ შემზარავი სურათი იდგა ჩემ წინ. დიდების მწვერვალზე უსიარცხილოდ ასულიყო ხალხის სისხლით შეღებილი უცნაური დროშა. დროშა მოლაღატის, დამპყრობელის, დაუზოგავი დესპოტის. თვითეული მისი შერხევა საშინელ მოგონებებს იწვევდა: „თებერვალი“, „აგვისტო“, „კოჯორი“, „ტაბახმელა“, „საბურთალოს მოედანი“ და კიდევ რა მდენი ასეთი? რამდენი ასეთი სისხლის ფერი სურათები ქრთმანეთს ცვლიდა ამ უცნაურ დროშის ფერღობზე, რომლის შუა ადგილს გადაკვანძულ ძვლებივით ჩასჭიდებოდა ჩაქურ ნამგალი.

გულ წრფელად გაფასებ და გულ წრფელად მიყვარხარ ფრანგო. რადგან შენ იცი თუ რა არის სამშობლო და მისი თავისუფლება. დღემდე ჩვენ ორიენტი ერთ ბედ ქვეშ ვიყავით, აწ შენ მე ვერ გამიგებ, რადგან შენ ხარობ, ზეიმობ, რადგან შენ მოიპოვე: შენი ოჯახი, დედა-მამა, საკუთარი ქვეყნის თავისუფლება, დღეს შენ სიხარულით მზეზე უფრო სპეტაკი ხარ, ბოროტიც კი კეთილად გეჩვენება, არ მშურს, მაგრამ გული მტკივა, რადგან ჩემი მეგობრის მეგობარი ადამიანური გრძობის მოსისხლე მტერია. მე კი ხმა ვერ ამოვიღია, სიტყვაც ვერ მითქვამს. ოპ... როგორ მინდა ყველამ გაიგოს, განიცადოს, რაც გულს ასე მითოკებს, მიმღელვარებს. ოპ... როგორ მინდა ვთქვა, ვიყვირო, ვიტერო კიდევ, რომ ცამ და დედამიწამ იგრძნოს ამ ქვეყნიური უკულმარხოება. მაგრამ ამაოდ... დღეს შენ ვერაფერს ვამიგებ კეთილ შობილო მასპინძლო, რადგან შენ წინ ჩემი მკვლელის დროშა დგას, შენთვის ჯერჯერობით უცნობი „წმინდანია“, ჩემთვის დიდი ხნის იუდა ისკარიოტელი. უცრად ხალხში ხმა გაისმა. „მძიმეთ დაჭრილები უნდა იყვნენ“. ხმაურმა შემარხია, გამოცხიზლდი, თვალები ამოვიშმუშნე, ქუჩას ფრთხილად მიჰყვებოდა წითელი ჯვრის ავტო-

ბი, ერთხელ კიდევ გადავხედე საერთო სიხარულს. მძიმე ნაბიჯით ჩავედი მიწაში, მეტრო ავიდე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ვარსკვლავის მოედანზე ამოვიდე. აქაც იგივე სანახაობა. ვებერთელა ქუჩები, ხალხით დაჭვითული მოედანი. უსახელო ჯარისკაცის საფლავი, ირგვლივ ათას ფერი ყვავილები. ეიფელის კოშკი. ელისეს მინდვრები, აკეკლუტებული ყავახანები, ხან-დახანით მოისმის ტყვია მფრქვევის ხმა, ჰაერს წამლავს სიკვდილის მოგონება. ლურჯ ცას ვერცხლის ჩიტებივით შესევია მოკავშირეთა ყუმბარათ მშენი თვისი მფრინავები. ზეცის და მიწის ხმაურს ერთმანეთს ეჯიბრება.

მშემ პორიზონტისკენ გადაიხარა, მღელვარე ტალღები ნელ-ნელა დამშვიდდა. თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. ლურჯი ფერები აღმართებდა გადაიშალა. სიჩუმე ზეციური საიდუმლოებით შემოსა. შორს მიძინებულ არდილებში სურნელოვან ყვავილებიდან სახე სხივოსანი ქალწული წამოდგა, იის ფერი მღელვარება გარემოს შემოასვია, ბრწყინვალე წმინდანის ღმილით მომიანლოვდა. ყველაფერი გამოიცვალა, თითქოს ცა და დედა-მიწა შემოტრიალდა. საკვირველებამ მკერდი გაიხსნა. სიჩუმის მგზავრები ამოძრავდა. მწვანე ფერებათ გადაშლილ ჰაეროვან სივრცეში მიმიძლოდა მშვენებით მოსილი ქალწული. თითუელი მისი მიხვრა-მოხვრა ღვთიური საიდუმლოებით იყო შეპყრობილი, მომღმარე იმედისანი თვალებით შემომხედა, ბრწყინვალე სხივებში გახვია სულ მნათი სათნოება, მალლობიდან დაეშვა და მეც გამიყოლია. დამარცხებული მდეგებით იღვენ ამაყი მთები. მათ შორის საშინელი უფსკრულები გადაშლილიყო. ძვლებით ავსილი ნაპრალეები ყვითელ თვალებით გამოიყურებოდა, ყოველ ფეხს ნაბიჯზე მითოვებული გავმები თერთრი კბილებით მიწას ჩასჭიდებოდა, ძვლების ნამტკრევეები დაბალი ფილტვებით სუნთქავდა მიწის ჭრილობებს, სიჩუმეს სისხლის ფერი ქორწილი გაემართა. კლდის მწვერვლებზე წითელი თვალებით ყვავ-ყორნები დარაჯობდნენ მსხვერპლად ქცეულ გაუაღლ უფსკრულებს. ჰაეროვან სიძუტუტით გაცვილდით სიკვდილით დასჯილ ქვეყანას, მიწაზე ფეხი მოვიკიდეთ. მელი ნაბიჯით შეუღეჭით ვერცხლის ღვედით დაკლავილი საცალფეხო გზას. მიდამო სიცოცხლეს სუნთქავდა. გაუაღლ მწვანე ტყეები დარბაისელი მასპინძლის სიხარულით გვეგებებოდა. მზე შვიდი მთის შვიდ მწვერვლიდან დედა-მიწას მხურვალე სხივებს აფრქვედა, მგზური ქალწული წინ მიმი-



ძღვოდა, მისი ზეციური ელვარება, უფრო ალამაზებდა ისედაც ლამაზ და ათას-ფერ ყვავილეებით მოჩრთულ ქვეყანას. ყველა ხარობდა, ხალხი გაცივებული სხეულით ეალერსებოდა მხურვალე მზის სხივებს, სამ ფერად მოჩრთული სახლები მუგობრებით ჩამწყრივებულიყო.

სოფლები ქალაქისაჲენ მიიწევედა, იძვროდა ქალაქის გული. ოქროს სასახლე დებულობდა ღირსეულ შვილებს. შორის მთის მოხუც მკერდზე ციმციმებდა ოთხი სიტყვა: „ჩვენი თავი ჩვენვე გვყუდნენ“. ქალაქის ირგვლივ აშვებული ზარების ხმა ზეციური სიფაქიზით მცხოვრებთ ბედნიერებას ულოცავდა. ქუჩაზე გამოსული ხალხი ყვავილებს უფენდა თავისუფლების დედოფალს, მრავალ ჟამიერ ისმოდა ყოველ მხრიდან. მე კი სულ სხვა სიხარული მიზიდავდა. ჩემი ბინა, დაბადების პირველი კარავი, ამდენი ხნის მოუთმენელი ლოდინი მშობლიური სიყვარულისა. ვაშმაგებული მივიწევი, გულის ცემით მიუახლოვდი, მოუთმენლად ჭიშკარი შევადე, ეზო... თითქმის სიბრძლით გადავადრე, ეს ისე ჩქარა მოხდა,

მგონი სახლის კარები ხელ შეუხებლათ გაიღო. გაგშემდი, ადვილიდან ვეღარ დავიძარი. ლოგინში იწვა მოხუცი დედა, არ ვიცი რა უნდა მეთქვა, საიდან დამეწყო, გამხდარი სახით ჩემსკენ გადმოიხედა, აკანკლდა, ძალა მოიკრიფა. მაგრამ ამაოდ. სუსტი სხეული მოჩვენებასავით დაესვენა. შვილო... შვილო... ნუ იტყვი, რომ ღმერთი არ არსებობს უმწიოდ სიკვდილი არ მინდოდა. ვენაცვალე მის გამჩენს, დაილოცა მისი მადლი. სიტყვებს მისუსტებული ხმით ნაწყვეტ - ნაწყვეტ ძლივს გამოთქვამდა. შვილო აწი არ მოცილდე ოჯახს, კერა არ გააცივო, მამა შენი რომ კედებოდა შენი იმედი ჰქონდა. კიდევ უნდოდა ბევრი რამ ეთქვა მაგრამ ძალა აღარ შესწევდა, სხეული გაცივდა, ღიათ დარჩენილი თვალები მშობლიური ღმილით შემყურებდა. „ეხაიმე დედა“— გულიდან ამოგლეჯილმა ტყვილმა გამომაფხიზლა, ვაკვირვებულმა მივიხედ-მოვიხედე, მოედანი დაცარიელებული იყო, მხოლოდ პარისის შიშველი ქუჩები სიბრალულით შემყურებდა.

გ. კვიციანი

თ გ ი ლ ი ს ს

ქალაქთ მეფეო, უკდავია შენი წარსული,  
გმირობით საცხე, მშფოთვარი და მოუხვენარჩი.  
მსურს ამოვშალო შენი ყოფნის კვალი  
ტანჯული  
და ოცნების მოვაჭენო შენსკენ მერანო.  
მოვედი, ვნახე... მობუტბუტებს მტკვარი  
ანკარა;  
მიიწევს დინჯათ, დატვირთული ნაღველ -  
ვარსებით;  
პატარა იყო, ეზლა უკვე დიდი გამხდარა,  
მაგრამ დაუცავს ძველებური რიყე და ლამი.  
აჰა, იქ, ვალმა, ბევრის მომსწრე კონტა  
მთაწმინდა;  
ნარკაალაშიც დინჯათ დადის კინტო თაბახით;  
ლიბან სირაჯს ყოჩი მოჰყავს ვანქის ბაზრიდან  
და ხაშის დუქნებს სუნი ასდის თათრულ ჩანახის;  
სირაჩხანიდან კვლავ მოისმის მრავალჟამიერ  
და საიათნოვას ჰანგს ვალომძენ ძველი ლოთები;  
თბილისო, მავ შენს სილამაზეს, მრავალგვარ  
იერს,  
ხშირად უმღერდა ეთიმ - გურჯიც დამწველ  
ნოტებით.  
აი, იქ, დახლა, ორთაჭალა, სადაც დავათრობს  
ზურნის საარი, დოღის დაფი, არღნის ჭიჭყინი;

იმ წარმტაც სურათს, ახა მითხარ, განა რამე  
სჯობს,  
ყარაჩოხელებს, რომ უცქერი ვართულებს  
ლხინით.  
გაქებულა შენი გემო, შნო და სიამე,  
მწვადი, ხინკალი, დოშის თევზი, თორნის  
ლაგამი,  
ქართული ლხინი, განუწყვეტლივ, დღეცა და  
ღამეც  
და დროს ტარება ამწვანებულ ორთაჭალაში.  
ვის არ მოჰხიბლავს შენი სუფრა, შენი სიუხვე,  
ყველის მითალი, ლაღის ღვინო, ჭაჭის არაყი,  
როს ჩაიყნოსავ, ვეწითლდები, მიუხე-მოუხვევ,  
შეზარბოშდები, შემდეგ მოედის ალაყ-მალაყი.  
გამოფხიზლდები, თვალს იტაცებს ტკბილი  
ნამცხვარი;  
უმზერ და ნეტარი სიამეში ჩაიძირები.  
აქ ხიზილალა, იქით გოჭი, სუფთათ შემწვარი,  
უმზერ და ნეტარ სიამეში ჩაიძირები.  
მახსოვს პაპისგან, განსაცდლისგან მუდამ  
გფარავდა  
წყნეთი, დიღომი, ლიხის ტა და მალა  
კოჯორი,  
კრწანის ველი, კუმისი და კონტა მარაბდა;





ოხ, ვენაცვალე, მათ ეკუთვნის ჩემი ამბოჯი.  
ვხედავ შორიდან თამარ მეფეს ოქროს ქოშებით,  
დიდ არმაზის მთას რომ აშუქებს, ვითა ლამპარი,  
მწერალი პანთეონს ყრილობა აქვს ყველა

მგოსნებს,

შოთა, აკაკი, ილია და ვაჟაქ იქ არი.

ჯორჯიასვილი შენს ქუჩებში მტყვისა

სდარაჯობს,

ბიჭი არასენა მცხეთის ველზე ცხენს მიაშენებს,  
შენს დიდებაზე გრიზიანვილის ჰანგი მარადობს,  
მეც, უცხოეთში, შენზე ფიქრი სულ არ მასვენებს,  
დრო მიდის, მაგრამ შენი სახე გულს მიხატობ;  
ვით მცნების სარკეს შიგ ჩავცქერვი

ყოველდღიურად;

შენი წარსული ჩემს ხსოვნაში სულ მარადია,  
და ჩანვიც ჩემი შენ ვიმღერის მელიორდიურად.  
რამდენი ერთი ჩამოვთვალა, შენი დიდება;  
წარმტაც ფერადი, სახიერი, მრავალწლოვანი,  
ტურფა, მდიდარი და ნეტარი ვით ქანდაკება,

სიცოცხლით სავესე, საუკუნო, სახელოვანი.  
გულს გისვენის შენი ძველნი მამა - პაპები,  
მიირონ ცხებულნი, მადლით სავესე, წმინდა,

ღვთიური;

იყავი, ხარ და კვლავ იქნები მუდამ საჭები,  
ჩემი სამშობლოს დიდი გული, ნათელ-მზიური.  
ვიცი, თბილისო, დროთა ბრუნვამ ბევრჯერ

შეგცვალა,

შნო და იქრი შეგჩენის მისინც ქართული;  
დრო მიდის და კვლავ უხვად გწყალობს

ღვთიური ძალა,

ოქროს კალამით წარსულშიც ხარ გადახატული.  
ჩემი სამშობლოს მიწის მკერდზე ამაყად მდგარო;  
ვიცი შენს შეილებს მუდამ უამში რომ ელოდები  
ჩემო თბილისო, ჩემის ოცნების კომკო, ტაძარო,  
შენთან ვარ მუდამ, არას დროს გემშვიდობები.

დ. ქიქრიძე

ხალცბურჯი.

სატრფოს

ო! ამ ცივ ზამთარს  
თუ გადაურჩი,  
ზამთარს სუსხიანს  
ჩრდილოეთისას.  
გაზაფხულის თვის  
ვარდ-ყვავილებით  
შეგიცვლი ტანჯვას  
ჯოჯოხეთისას.  
მშობლიურ ველზე  
დავკრეფ ყვავილებს,  
ულამაზესებს  
მთელი ქვეყნისა.  
მრავალ ფერიდან  
ავარჩევ სამ ფერს  
სიმბოლოს შენი  
არსებობისას.  
დაცემის, მაგრამ  
კვლავ წამოდგომას,  
ნიშანს უშრეტო  
ენერჯისას.  
წამების, მაგრამ  
ვერ დაკნინების;  
ბოროტუნედ მუდმივ  
გამარჯვებისას.  
ოცდაექვს მაისს

გვირგვინად შეკრულს  
ქრისალვით მოგართმევ  
შენს სადიდებლად.  
თეთრ საქორწილოს  
ნახად ჩავაწნავ  
შავსა და წითელს  
ხსოვნის ლამპრებად.  
საკუთარ ხელით  
დაგადგამ თავზე  
დაგაქორწილებ  
მომავლის შეილზე...  
და ჯიხვის ყანწით  
ქართულ—ლალსფერს  
შენს სადღეგრძელოდ  
დავცლი ზედი-ზედ.  
ო! ამ ცივ ზამთარს  
თუ გადაურჩი,  
ზამთარს—სუსხიანს,  
ჩრდილოეთისას  
გაზაფხულისთვის  
ბედნიერება  
შეგვიცვლის ტანჯვას  
ჯოჯოხეთისას.

შურდული



# ქრონიკა

## სპირდონ კელიას გარდაცვალება

ორშაბათს, 17 მაისს, კლამარნი, თავის ბინაზე, გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სპირდონ კელია. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქცია და მწერალთა კავშირი თანაგრძობას უტყბალებს მის ოჯახს.

## პარიზის ქართული კოლონია

25 აპრილს შესდგა პარიზის ქართული კოლონიის საზოგადო კრება. კრებამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის ბ. შ. სკამკოჩიშვილის ვრცელი მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ და სთხოვა კრებას აერჩია ახალი გამგეობა, რადგან ძველ გამგეობის ვადა უკვე შესრულდა. კრებამ მოისმინა აგრეთვე ქ-ნ ლ. აბდუშელიის, როგორც წაზინადარის, მოხსენება დადასტურებული სარევიზიო კომისიის მიერ. კრებამ იქონია მსჯელობა გამგეობის მუშაობის შესახებ, მოიწონა ის, გამოუტყბა მადლობა და სთხოვა ერთხმად, დარჩენილიყვნენ კიდევ ერთ წელს. გამგეობამ ანგარიში გაუწია კრების საერთო სურვილს და თანხმობა განაცხადა—განაგრძოს კოლონიის მეთაურობა კიდევ ერთ წელს.

## მიუნჰენის ქართული კოლონია

გასულ თვეში, ქალაქ მიუნჰენში, შესდგა ამერიკულ ზონაში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილთა კოლონიის საზოგადო კრება, რომელსაც ბ. ს. კორძაია გაუკეთა ვრცელი მოხსენება კოლონიის გამგეობის მუშაობის შესახებ. კრებამ ერთხმად გამოუტყბა მათ მადლობა. შემდეგ ფარული კენჭის ყრით არჩეული იქნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ს. კორძაია, წევრები—ს. კაბიაშვილი და გ. ლოლობერიძე. სარევიზიო კომისიაში—გ. ავალიანი, დ. ჩხატარაშვილი და ვ. ანბეტელი. ღირსების სასამართლოს წევრებათ—გ. გაბლიანი, მ. იმნაიშვილი და ვ. ნოზაძე.

ღრმად დამწუხრებულნი ვალერიან, ვიქტორია და გოგი ახვლედიანები გულისწუნებით აუწყებენ ნათესაებს, მეგობრებს და თანამემამულეებს, რომ 1947 წელს, ნოემბერში, საქართველოში, ტრადიკულად დაიღუპენ ერთად დედა, დედამთილი და დიდედა

**ინო ზალავას ასული ახვლედიანისა და სიძე**

**ალექსანდრე კვაშალი შვილით**

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება მათი სულის მოსახსენებლათ, კვირას 6 ივნისს, ქართულ ეკლესიაში.

**43, rue François Gerard.**

კრებამ მადლობა გამოუტყბა გ. ლოლობერიძეს და შ. მარგველაშვილს, რომლებმაც ნინოების დღის გასამართავად გაწეული ხარჯების დასაფარვათ შემოსწირეს—პირველმა 1.600 მარკა, მეორემ—300 მარკა.

## წერილი რედაქციის მიმართ

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესათ ვთხოვთ დაუთმოთ ადგილი, თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში, ქართველ ქლეტიანთა დამხმარე კომიტეტის 1947 წლის ანგარიშს.

შემოსავალი იყო: საწევრო—18.860 ფრ. კომიტეტის მიერ გამართულ საღამოს შემოსავალი—51.227 ფრ. სულ—70.087 ფრ. გასავალი: საღამოს მოწყობა—30.682 ფრ. სახელმ. გადასახადი—2.252 ფრ. დახმარება ავადმყოფებს—30.370 ფრ. საერთო ხარჯები (მიწერა-მოწერა, ტელეფონი და სხვა)—5.138 ფრ. სულ—68.442 ფრ. რჩება საღამოში—1.645 ფრ.

კომიტეტის თავმჯდომარე: **ი. უორდანიასი**  
მოლარე: **ი. კობახიძე**

**რედაქციიდან.** ამ ნომრისათვის დამზადებული წერილები: ნაიბის—„მისის აჩრდილები“, ახალი ემიგრანტის—„წამებული მწერლობა“ (გაგრძელება) და სხ. უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისათვის.

**გაზეთის ფონდი**—ლ. ჭურღულაშვილისაგან—500 ფრ.